გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესი

ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს ორიგინალის ენაზე საერთაშორისო APA სტილის მიხედვით. ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით. თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ევროპულ და რუსულ ენებზე.

ლიტერატურის სია ფორმდება შემდეგნაირად:

მონოგრაფია - გვარი სახელი. ფრჩხილებში გამოცემის წელი. წიგნის სათაური (იტალიკით/ დახრილად). ქალაქი: გამომცემლობა.

> მაგალითი:
>
> ჯავახიშვილი ივანე (1938). *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები.* თბილისი: *ფედერაცია.*
>
> Bartyk Bйla (1951). *Serbo-Croatian Folk Songs*. New York: *Columbia University Press.*
>
> Арановский Марк (1974). *Проблемы музыкального мышления*. Москва: *Музыка.*

სტატია კრებულში - გვარი სახელი. ფრჩხილებში გამოცემის წელი. სტატიის სათაური. კრებულში: წიგნის სათაური (იტალიკით). თუ არის გამოშვების ან ტომის ნომერი. კრებულის რედაქტორის გვარი და სახელი (სარედაქციო კოლეგიის შემთხვევაში მიუთითეთ მთავარი ან პასუხისმგებელი რედაქტორი. სარედაქტორი ჯგუფის შემთხვევაში პირველი გვარის შემდეგ იწერება და სხვები) ფრჩხილებში სტატიის გვერდები. ქალაქი: გამომცემლობა.

> მაგალითი:
>
> შილაკაძე მანანა (2000). მრავალხმიანობა და ქართული ხალხური საკრავები. კრებულში:. *ხალხური მრავალხმიანობის პრობლემები.* პ/მ. რედ.: წურწუმია რუსუდან. (გვ.164 -170). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.
>
> Brown Steven (2000). Evolutionary models of music: From sexual selection to group selection. In: *Perspectives in Ethology. 13: Behavior, Evolution and Culture.* Eds.: Tonneau Fox et all. (pp. 231-281). New York: *Plenum Publishers.*

სტატია ჟურნალში /გაზეთში - გვარი სახელი. ფრჩხილებში გამოცემის წელი. სტატიის სათაური. ჟურნალში: ჟურნალის სათაური (იტალიკით). ნომერი: გვერდები.

> მაგალითი:
>
> ერქომაიშვილი ანზორ (2001). ჩემი წინაპარი. ჟურნ.: *მნათობი,* 1:131-152.
>
> Nwokah Evangeline (1988).The imbalance of stuttering behaviour in bilingual speakers. Journal : *Fluency Disorders,* 13:357-73.

სადისერტაციო ნაშრომი - გვარი სახელი. ფრჩხილებში წელი. ნაშრომის სათაური. ქალაქი, ინსტიტუტი.

სტატია ელექტრონულ ჟურნალში - დაცული უნდა იყოს ჟურნალში მითითების წესი. ემატება ინტერნეტ მისამართი.

თუ წიგნს არა ყავს ავტორი ან ავტორთა ჯგუფი (მაგალითად ენციკლოპედიას, კრებულს) - ამ შემთხვევაში დასაწყისში მითითებული უნდა იყოს შემდგენელის ან რედაქტორის გვარი და სახელი (სარედაქციო კოლეგიის შემთხვევაში მიუთითეთ მთავარი ან პასუხისმგებელი რედაქტორი. სარედაქტორი ჯგუფის შემთხვევაში პირველი გვარის შემდეგ იწერება და სხვები).

მაგალითი: ერქვანიძე მალხაზ, ვეშაპიძე ლევან (*შემდგენლები)* (2003). *ქართული გალობა, გელათის სკოლა.* თბილისი: *ხელოვნება.*

თუ ერთი და იგივე ავტორის (ცალკე ან თანაავტორობით) რამდენიმე ნაშრომი გამოცემულია ერთსა და იმავე წელს, მაშინ გამოცემის წელი დამატებით აღინიშნება ანბანური წესით.

მაგალითი: ზუმბაძე ნატო (1994ა). საკრავი ბატონების კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს 33-ე სამეცნიერო კონფერენციის თეზისები.*(გვ. 27-29). თბილისი. ზუმბაძე ნატო (1994ბ). სიტყვიერი ინფორმაცია – ეთნომუსიკოლოგიური კვლევის აუცილებელი წყარო. კრებულში: *მუსიკისმცოდნეობის საკითხები.* სამეცნიერო შრომები. პ/მ რედ.: წურწუმია რუსუდან. (გვ. 74-85). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

სტატიის ტექსტში დამოწმებული ლიტერატურა ფორმდება შემდეგნაირად:

ფრჩხილებში მოცემულია ავტორის გვარი, გამოცემის წელი: ციტატის (ან გამოყენებული აზრის) გვერდი.